2016

წლიური ანგარიში

2016
წლიური ანგარიში

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE

Kingdom of the Netherlands

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

SIGRID RAUSING TRUST

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PORADNA
PRO OBČANSTVÍ, OBČANSKÁ A LIDSKÁ PRÁVA

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

NED
National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

SWEDEN

The European Union

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

UNDP

British Embassy Tbilisi

ევროპის ფონდი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
საგრძელვადიანი საზოგადოებრივი მონაწილეობისა და ძლიერ ადამიანთა ბარათიანობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე 9

იურიდიული დახმარება უფლებადარღვეული პირებისთვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის 10

ფოკუსი ბენეფიციართა ცალკეულ ჯგუფებზე 13

სტრატეგიული სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე საერთო სასამართლოებში 16

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 18

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 21

მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში 23

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება 27

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობა აგვისტოს ომით დაზარალებულ პირთა ინტერესების დასაცავად 28

საქმიანობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიმართულებით 30

საქმიანობა ქალთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის ხელშეწყობის მიმართულებით 31

საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციებსა და პლატფორმებში 33

საერთაშორისო ვიზიტები და კონფერენციები 35

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები და მრგვალი მაგიდები 39

ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 40

მედიამონიტორინგი 41

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა 43

სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა 44

ანტიკორუფციული კვლევები და მონიტორინგი 45

დამოუკიდებელი მედიაგარემოს ხელშეწყობა 47

საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით 47

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა 51

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების მონიტორინგი 52

კვალიფიციური, იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 53

ფონდის სასწავლო კურსები 54

ტრენინგები 57

იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა 58

საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები 58

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში 59

ფინანსური ანგარიში 60

ძვირფასო წევრებო, თანამშრომლებო, თანამოაზრეებო,

ჩემთვის დიდი პატივია, უკვე მეორედ მოგმართოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის რანგში და წარმოგიდგინოთ ორგანიზაციის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ეს ანგარიში, ისევე როგორც მისი წინამორბედები, ვერ დაიტევს იმ უზარმაზარ, დაუღალავ შრომას, რასაც საიას თანამშრომლები წლის განმავლობაში ეწეოდნენ. ამისათვის, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად.

საანგარიშო წლის განმავლობაში საია განაგრძობდა ადამიანის უფლებათა დაცვას საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობის, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოების გზით. გარდა ამისა, ორგანიზაცია ახორციელებდა სახელმწიფო უწყებების საქმიანობისა თუ მნიშვნელოვანი სამართლებრივ-პოლიტიკური პროცესების მონიტორინგს, რაც გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, მანკიერი მხარეების გამოვლენაში, ხოლო მეორე მხრივ – რეფორმების პროცესში ჩართულობასა და კონკრეტული, დასაბუთებული, არგუმენტირებული რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენაში.

საკმაოდ დიდი დრო და ენერგია ეთმობოდა წლის განმავლობაში წამოჭრილ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ორგანიზაციის შეხედულებისა და პოზიციის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებისთვის გაცნობას, რითაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი წვლილი შეგვქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ჩვენთვის კვლავ აქტუალური იყო სამართალდამცავი ორგანოების უკანონო თუ არაეფექტური მოქმედებების შედეგად უფლებადარღვეული ადამიანების, ასევე, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის, ქალების უფლებათა დაცვა და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო წელმა, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დემოკრატიული ტრანსფორმაციის სირთულეები და დაგვანახა, რომ კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების პროცესი რთული და ხანგრძლივია. ეს გზა არ არის ერთგვაროვანი – მას ახასიათებს წინსვლაც, შეფერხებებიც, შეცდომებიც, შეცდომათა განმეორებებიც (რაც, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული რეალობაა) და შეცდომებზე სწავლაც.

საია ცდილობდა, ამ გზაზე ყოფილიყო მოდარაჯე ძაღლიც და კომპეტენტური მრჩეველიც, რისი სივრცეც, ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად, მაგრამ არსებობდა, რაც ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწილია. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, რთული იყო ამ ორი როლის შეთავსება, თუმცა, რიგ შემთხვევებში – პირიქით, ეს ხელს უწყობდა ორგანიზაციის ეფექტურობას.

წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს შორის, რომლებშიც საიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, გამოვყოფდი სასამართლოს თემას. განსაკუთრებით აქტიურები ვიყავით სასამართლო სისტემაში არსებული მანკიერი პრაქტიკის და სისტემური ხარვეზების გამოვლენის, ასევე, ამ თემებზე სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირებულობის გაზრდისა და ცვლილებებისათვის საჭირო პოლიტიკური ნების ფორმირების მიზნით, საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მიმართულებით. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის შედეგად, რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა ფართოდ იქნა აღიარებული როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მიერ, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სრულყოფილი და ადეკვატური რეფორმის გასატარებლად. საია მომდევნო წლებშიც გააგრძელებს მუშაობას დამოუკიდებელი სასამართლოს ხელშეწყობის მიმართულებით.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვან, ვიტყოდი, ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როდესაც ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ნებართვა მისცა სასამართლოს პროკურორს, დაეწყო გამოძიება რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით. ეს არის პირველი გამოძიება სასამართლოს ისტორიაში, რომელიც ევროპის კონტინენტზე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და პარტნიორი უფლებადამცველი ორგანიზაციების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ჩვენი მეშვეობით, ათობით ომით დაზარალებულმა პირმა შეძლო, ხმა მიეწვდინა სასამართლოსთვის და მოეთხოვა გამოძიების ფარგლების გაფართოება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. გაფართოებულ ფარგლებში გამოძიება რეალურ შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს ჩადენილი დანაშაულების სრულფასოვანი სამართლებრივი შეფასება და დაზარალებულთა უფლებების აღიარება/აღდგენა.

ასევე, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც საია ტრადიციულად აკვირდებოდა 500-მდე დამკვირვებლის მეშვეობით. წინასაარჩევნო პერიპეტიებმა, კენჭისყრის დღემ და, ასევე, შემდგომმა პერიოდმა გამოავლინა ხელშესახები პროგრესი წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, თუმცა, დაგვანახა გარკვეული უკუსვლა 2012 წლის შემდგომ ჩატარებულ არჩევნებთან მიმართებით და აჩვენა, რომ მაღალი ხარისხის დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად, კრიტიკულად აუცილებელია ცვლილებები როგორც კანონმდებლობაში, ასევე პოლიტიკურ კულტურაში.

თუმცა, საერთო საზოგადოებრივი გადმოსახედიდან, გამოვლენილ პრობლემებსა და ხარვეზებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თავად არჩევნების შედეგებია – ის პოლიტიკური რეალობა, რამაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის განვითარების გეზი, მინიმუმ, მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

პრაქტიკულად ორპოლუსიანი, უკიდურესად პოლარიზებული პარლამენტი, საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთი პარტიის ხელში და მთავარი ოპოზიციური ძალა, რომლის მორალური რესურსი, მოითხოვოს ხელისუფლებისგან ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა, წარსულში მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა საკამათო იყოს – დღეს უკვე რეალობაა. საკონსტიტუციო უმრავლესობის ფლობა შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან შანსს და რეფორმების დროულად გატარების შესაძლებლობას, მაგრამ იგი ასევე შეიცავს საყურადღებო რისკებს კანონის უზენაესობის, ანგარიშვალდებული მმართველობისა და ადამიანის უფლებებისთვის, განსაკუთრებით საქართველოს ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიის პირობებში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, მიმდინარე წელს კიდევ უფრო ნათელი და აშკარა გახდა სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის და მედიის ინსტრუმენტალიზაციის ღია მცდელობები სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან. ამგვარი მიდგომა აზიანებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის იდეას, ამიტომ მას ჩვენი მხრიდან ადეკვატური შეფასება და რეაქცია სჭირდება. ამ კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილთან გაჩენილი არაბუნებრივი დისტანციის შემცირება და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების აღიარებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული სოლიდარობის გაღრმავებას ჯგუფებს შორის.

ამ გამოწვევებთან გამკლავება სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობა, რომელიც 2016 წლის არჩევნების შემდეგ შეიქმნა, საქართველოს შემდგომი დემოკრატიული განვითარებისთვის სამოქალაქო საზოგადოების როლს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის. ვფიქრობ, მხოლოდ პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, კეთილსინდისიერებით და თანმიმდევრულობით იქნება შესაძლებელი, სამოქალაქო საზოგადოებამ თავი გაართვას აღნიშნულ გამოწვევებს.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მომავალშიც არაერთხელ იტყვის თავის კომპეტენტურ და პრინციპულ სიტყვას და ღირებულ წვლილს შეიტანს საქართველოში დემოკრატიის დაცვისა და გაძლიერების საქმეში.

პატივისცემით,
ანა ნაცვლიშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე


ზუგდიდის ოფისი
2014
ქუთაისის ფილიალი
1996
ოზურგეთის ოფისი
2001
აჭარის ფილიალი
1995

საიას ოფისების დაარსების წლები:

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი- 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2015-2019 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2016 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2015 წლის 1 ნოემბერი – 2016 წლის 1 ნოემბერი).

ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

- ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე
- საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება
- ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა
- კვალიფიციური, უნყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ჩვენი დევიზი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აგრძელებს მრავალწლიან ტრადიციას მოქალაქეთათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევის კუთხით. კერძოდ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონკრეტული პირების დარღვეული უფლებების აღდგენას, სტრატეგიული საადვოკატო საქმეების წარმოებით – სწორი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ საჭირო ცოდნა და ის ძირითადი უნარები, რომლებიც აუცილებელია მომავალში საკუთარი უფლებების დასაცავად.

იურიდიული დახმარება უფლებადარღვეული პირებისთვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის

2016 წელს ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, 9 ოფისის მეშვეობით, საიამ ათასობით ადამიანს გაუწია უფასო იურიდიული დახმარება.

საანგარიშო პერიოდში, ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიის, ქვეყანაში არსებული ტენდენციებისა და პროექტების შესაბამისად, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ბენეფიციართა ისეთ ჯგუფებზე, როგორებიც არიან: ქალები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, ძალოვანი უწყებების უკანონო ქმედებების შედეგად დაზარალებული პირები, პატიმრები, არასრულწლოვნები, ხანდაზმულები და ა.შ.

ბენეფიციართა ინტერესების დაცვას საია იურიდიული დახმარების სხვადასხვა ფორმით ახორციელებდა, კერძოდ: პირადი, სატელეფონო, ონლაინ კონსულტაციები საიას ოფისებში, გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო საქმეების წარმოება.

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

წლის განმავლობაში ბენეფიციარები საიას ყველაზე ხშირად შემდეგ თემებთან დაკავშირებით მიმართავდნენ: სამართალდამცავების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და მათი არაეფექტური გამოძიება; დაზარალებულად ცნობის პრობლემები, ოჯახში ძალადობა, ასევე, საოჯახო სამართლის საკითხები, მათ შორის, განქორწინება, ალიმენტი და სხვა; დასაქმებულთა უკანონოდ გათავისუფლება; უძრავი ქონების რეგისტრაცია და ა.შ.

საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული კონსულტაციები:



სამართლებრივი კონსულტაციების ტიპები:

კონსულტაციის ტიპები	თბილისი	ქუთაისი	აჭარა	გორი	თელავი	დუშეთი	რუსთავი	ოზურგეთი	ზუგდიდი
პირადი	7498	6043	1346	5176	1540	953	2326	1628	3538
სატელეფონო	7015	673	31	381	128	163	229	296	392
ონლაინ	371	55	0	9	4	1	20	31	83

ბენეფიციართა რაოდენობა გენდერულ ჭრილში:

გასული წლის განმავლობაში საიას იურისტებმა ბენეფიციარებს მოუმზადეს 6423 სამართლებრივი დოკუმენტი (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა და ა.შ.).

საიას ადვოკატები, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად სტუმრობდნენ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტს, ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და, სამართლებრივი კონსულტაციების პარალელურად, ცდილობდნენ, მათ ყოფითი პრობლემების მოგვარებაშიც დახმარებოდნენ. წლის განმავლობაში ასეთი 218 შეხვედრა გაიმართა, რომლებსაც 3531 ადგილობრივი მოსახლე ესწრებოდა.

საკითხები, რომლებითაც სოფლად მცხოვრებნი ინტერესდებოდნენ, განსხვავებული იყო მუნიციპალიტეტის პრობლემატიკის შესაბამისად. თუმცა, თითქმის ყველგან ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებდა თვითმმართველობების კომპეტენციები, სოციალური დახმარებები, ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტში და მათი შესრულება, საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმები, მემკვიდრეობის მიღებისა და საოჯახო სამართლის თემატიკა.

საადვოკატო საქმიანობა

გასულ წელს საიას იურიდიული დახმარების ცენტრების პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენდა უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა, ძირითადად, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ორგანიზაციის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ამავე დროს, საიას ადვოკატების ძალისხმევით, არაერთი დავა ბენეფიციართა სასარგებლოდ დასრულდა.

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების წარმოებაში იყო 137 საადვოკატო საქმე, წარმატებით დასრულდა 95. შედეგად, არაერთი ბენეფიციარი აღადგინეს სამსახურში და აუნაზღაურეს სახელფასო განაცდური, მიენიჭა შშმპ სტატუსი, გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და ა.შ.

ფოკუსი ბენეფიციართა ცალკეულ ჯგუფებზე

ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვა

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვა

უკვე არაერთი წელია, საია მუშაობს ქალთა უფლებების თემატიკასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სხვადასხვა მიმართულებით.

2016 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, ტრადიციულად, სთავაზობდა უფასო იურიდიულ კონსულტაციებს და სასამართლო წარმომადგენლობას. წლის განმავლობაში, საიას დახმარებით, 28 ქალის სასარგებლოდ გამოიცა 5 შემაკავებელი და 23 დამცავი ორდერი. ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებზე გაიცა 261 კონსულტაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აქტიურად იყენებს საერთაშორისო და რეგიონულ მექანიზმებს ქალთა უფლებების დასაცავად.

ჯერ კიდევ წინა საანგარიშო პერიოდში, 2015 წელს, საიამ სალომე ჯორბენაძის საქმეზე სარჩელი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2016 წელს, შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის მიზნით, განხორციელდა მთელი რიგი ქმედებები ქმრის მიერ მოკლული ბელა ძამსაშვილის საქმეზე, შემდგომში საქმის გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წინაშე წარსადგენად.

ქალთა საკუთრების უფლება

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას 193-მა ქალმა მიმართა საკუთრების უფლების დარეგისტრირების პრობლემის თაობაზე, რაც, უმეტეს შემთხვევაში, უკავშირდებოდა მემკვიდრეობის მიღებისა და ქორწინების/განქორწინების რეგისტრაციის დროს ქალთა უფლებების დარღვევას. ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების დონე და ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალია. ამიტომ საიამ მიმდინარე საანგარიშო წელს მოამზადა სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სატელევიზიო არხის მეშვეობით გადაიცა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა მარგინალიზებული ქალებისთვის

საანგარიშო პერიოდში, საიამ, პირველად თავის მრავალწლიან ისტორიაში, დაიწყო მუშაობა მარგინალიზებულ ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით. პროექტი მიზნად ისახავს სექს-მუშაკი და ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების უფლებების დაცვას და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში, საია თანამშრომლობდა სათემო ორგანიზაციებთან „აკესო“ და „თანადგომა“ და მათგან გამოგზავნილ ბენეფიციარებს უწევდა სამართლებრივ დახმარებას სხვადასხვა ფორმით. საიამ დახმარება ჯამში 11 ქალს აღმოუჩინა.

პატიმართა უფლებების დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში

საია, უკვე წლებია, მუშაობს პატიმართა უფლებების დაცვის მიმართულებით და ამ თემაზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამება და არასათანადო მოპყრობა აღარ წარმოადგენს ციხეებში სისტემურ პრობლემას, ცალკეული შემთხვევები და მათზე სახელმწიფოს არაეფექ-

ტური რეაგირება მანკიერი პრაქტიკის დაბრუნების რეალურ საშიშროებას ქმნის. აქედან გამომდინარე, საია, ამ საანგარიშო პერიოდშიც, პატიმრებისგან მიღებულ განცხადებებს განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავდა და რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს მიმართავდა.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საიას ოფისებში პენიტენციარული დაწესებულებიდან შემოვიდა 1481 განცხადება/წერილი სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით. აქედან 22 განცხადება ეხებოდა მსჯავრდებულების მიმართ ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. მსჯავრდებულები აღნიშნავდნენ, რომ პენიტენციარული დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან მათზე განხორციელდა/ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა და ადგილი აქვს ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც. ზოგიერთი მათგანი, არასათანადო მკურნალობის გამო, გაუსაძლის ტკივილებსა და გაუარესებულ ჯანმრთელობაზე მიუთითებდა. მსჯავრდებულთა ნაწილი აცხადებდა, რომ არასათანადო მოპყრობა ხორციელდებოდა სისტემატურად. წერილებიდან ირკვევა, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენდა უსაფრთხო დეესკალაციის საკნებში მოთავსების პრაქტიკაც. გარდა საგამოძიებო უწყებებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროსადმი წერილობით მიმართვისა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საია ასევე აკეთებდა საჯარო განცხადებებს და მიუთითებდა, რომ არასათანადო მოპყრობის ცალკეულ შემთხვევებზე ეფექტიანი გამოძიების ჩასატარებლად, აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიების სისტემის შექმნა. ასევე, წლის განმავლობაში გაკეთებულ შეფასებებში საიას წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ გამოძიების სათანადოდ წარმართვისთვის, აუცილებელია, პროცესში ჩართული იყოს და სათანადო უფლებამოსილება მიენიჭოთ არა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებს, არამედ სამედიცინო პერსონალს, ტრავმების ფოტოგრაფირებისა და, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, დაზიანებების აღწერის გზით. ამასთან, ფოტოგრაფებისთვის სათანადო ტექნიკით უნდა აღიჭურვოს თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულება. გამოძიების პროცესს გაამარტივებს და ეფექტურს გახდის პენიტენციარულ დაწესებულებებში ვიდეო მეთვალყურეობის გზით ჩაწერილი ინფორმაციის მინიმუმ 10 დღემდე ვადით შენახვაც. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელსაც საია, სხვა პარტნიორ ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველთან ერთად, აქტიურად უჭერდა მხარს, შეეხებოდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რომელიც, საიას აზრით, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს პენიტენციარულ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის დანაშაულების ეფექტურ გახსნას, ასევე, იქნება მნიშვნელოვანი ბერკეტი დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსგავსი დანაშაულების პრევენციის კუთხით.

ჟურნალისტთა უფლებების დაცვა

ქვეყანაში მედიის თავისუფლების დაცვა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეწყობა ყოველთვის წარმოადგენდა საიას მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ აგრძელებდა მუშაობას აღნიშნულ საკითხებზე, ადვოკატირების, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მონაწილეობის და სამართალწარმოების გზით. გასულ საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 40-მდე ჟურნალისტს მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ 6 საქმეზე. მათ შორის:

- ტელეკომპანია „მაესტროდან“ 32 თანამშრომლის შრომითი ურთიერთობების უკანონოდ შეჩერებასთან დაკავშირებით, საიამ ჟურნალისტებს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და შეუდგინა სამართლებრივი დოკუმენტაცია;

- საიას დახმარებით, სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა საჯარო ინფორმაციის გაცემა გაზეთ „ბათუმელების“ სასარგებლოდ. სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. ამჟამად საია „ბათუმელების“ ინტერესებს აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს წარმოება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად;

- ასოციაციამ სამართლებრივი დახმარება გაუწია „ტვ-25“-ის 4 ყოფილ თანამშრომელს, შრომითი ხელშეკრულებების უკანონოდ შეწყვეტასთან დაკავშირებით. საქმის წარმატებით დასრულების შედეგად, ბენეფიციარებს აუნაზღაურდათ სახელფასო განაცდური და დაკმაყოფილდა მოთხოვნა სამსახურში მათ აღდგენასთან დაკავშირებით;

- საია ამ ეტაპზე აგრძელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ ყოფილი წამყვანის – ეკა მიშველაძის ინტერესების დაცვას სასამართლოში. სარჩელით მოთხოვნილია ეკა მიშველაძის სამსახურში აღდგენა და, მისი მეუღლის პოლიტიკური პარტიის წევრობის ნიშნით, მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება;

- საიას დახმარებით, უკანონოდ იქნა მიჩნეული ტელეკომპანია „ჯიდიესის“ გადაცემის პროდიუსერის სამსახურიდან გათავისუფლება. საია სასამართლოში წარმოადგენდა „ჯიდიესის“ გადაცემის ყოფილი პროდიუსერის ინტერესებს, რომელიც სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების პირობებისა და კანონის მოთხოვნათა დარღვევით გაათავისუფლეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სამსახურიდან უკანონო განთავისუფლებას და ტელეკომპანიას დააკისრა, პროდიუსერის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით 6000 ლარის გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ტელეკომპანიამ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე ტელეკომპანიამ ჟურნალისტს შესთავაზა მორიგება და დავის დასრულების სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით 5000 ლარის გადახდა. მხარეთა შორის შედგა მორიგება. ჟურნალისტის შრომითი უფლებების პატივისცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების დაცვის, არამედ მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობების თავისუფლად განხორციელების თვალსაზრისითაც.

სტრატეგიული სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე საერთო სასამართლოებში

საიას წარმოებაში არსებულ საქმეებს შორის არის რამდენიმე ისეთი საქმე, რომელთა შედეგი არა მხოლოდ საიას ბენეფიციარების ინტერესებზე აისახება, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში, ან/და წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

მაგალითისთვის, წარმოგიდგენთ რამდენიმე ასეთ საქმეს:

„ემბრიონის საქმე“

აღნიშნული საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამართლის განვითარებისთვის, რადგან საქართველოს სასამართლოებში მსგავსი დავა პირველად განიხილებოდა. საიას ბენეფიციარი ედავებოდა ყოფილ ქმარს გაყინული ემბრიონის განკარგვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, რათა მას დამოუკიდებლად განეხორციელებინა ემბრიონის ტრანსფერი სუროგატი დედის სხეულში. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთის პირისპირ იდგა დიამეტრულად განსხვავებული ორი უფლება და მხარეთა ინტერესები სრულიად შეუთავსებელი იყო, ვინაიდან, თუ დაშვებული იქნებოდა ემბრიონის გამოყენება, მოპასუხე იძულებული იქნებოდა, მამა გამხდარიყო. საპირისპირო შემთხვევაში კი – მოსარჩელეს წაერთმეოდა გენეტიკურ დედად ყოფნის შესაძლებლობა. სასამართლომ ამ ორ უფლებას შორის უპირატესობა დედის უფლებას მიანიჭა და განმარტა, რომ უარის თქმის პირობებში, მოსარჩელეს საბოლოოდ ჩამოერთმეოდა გენეტიკური შვილის გაჩენის უფლება. შესაბამისად, სასამართლომ დავა დედის სასარგებლოდ გადაწყვიტა და სარჩელი დააკმაყოფილა.

საიას იურიდიული დახმარების შედეგად, ბენეფიციარს აღუდგა დარღვეული უფლება ბიოლოგიურ რეპროდუქციასთან დაკავშირებით და, ამ გადაწყვეტილებით, დადგინდა ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტი.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საკუთრების წინასწარი რეგისტრაცია

საიას თბილისის ოფისი იცავდა აფხაზეთიდან დევნილ ი.ქ-ს ინტერესებს, რომელიც მოითხოვდა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საჯარო რეესტრში მის სახელზე განეხორციელებინა აფხაზეთში იძულებით დატოვებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაცია. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის №326 ბრძანებულებით დამტკიცებული წესიდან. თუმცა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამინისტროს აღნიშნულის უზრუნველყოფა უნდა მოეხდინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების რესტიტუციის საკითხების განმხილველი სამუშაო ჯგუფი შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს მიიღებდა.

სასამართლომ ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს მთავრობის განკარგულებითა და პრეზიდენტის ბრძანებულებით რეგულირებული საკითხების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, საჯარო რეესტრში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის ინსტიტუ-

ტი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, კანონისმიერი დაცვის გარეშე არ დარჩეს დევნილთა საკუთრების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ სათანადოდ არ იყო დასაბუთებული საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლითაც სამინისტროს დაევალა, სამუშაო ჯგუფის მიერ წინადადებებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ მოეხდინა საჯარო რეესტრში დოკუმენტაციის გადაგზავნა. ასევე, სასამართლოს აზრით, ნათლად არ იყო განსაზღვრული აღნიშნული კომისიის საქმიანობის მიზნები და ფარგლები. ამასთან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის აღსრულების გადადება ეწინააღმდეგებოდა კანონის უზენაესობის ძირითად პრინციპს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეესრულებინა კანონმდებლობის მოთხოვნა და მოეხდინა მისი აღსრულება. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა ი.ქ-ს მოთხოვნა და გააუქმა საქართველოს მთავრობის განკარგულების გასაჩივრებული ნაწილი.

სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებელის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობის შეზღუდვა

საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა ა.ნ-ს ინტერესებს, რომლის საქმეზეც უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. დავის საგანს წარმოადგენდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. საიას ბენეფიციარის მიერ შესაგებელის წარუდგენლობის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუმცა, საიას ადვოკატებმა მიიჩნიეს, რომ აპელაციის ეტაპზე, შესაგებელის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი და გაასაჩივრეს საკასაციო წესით. საკასაციო პალატამ საქმე განსახილველად გადასცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რომელმაც გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმის წარმოებისას, სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებელის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.

დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა საიას ერთ-ერთ გამორჩეულად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში ორგანიზაციის წარმოებაში იყო რამდენიმე ასეთი საქმე, რომელთაგან ორი წარმატებით დასრულდა. ერთ შემთხვევაში, საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ დაამტკიცა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, ხულოს ბაღების გაერთიანებამ აღიარა საიას ბენეფიციარის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი ქონებრივი ნიშნით. მეორე საქმეში, სადაც საიას ბენეფიციარს თბილისის ოფისის ადვოკატი იცავდა, სასამართლომ სსიპ – იუსტიციის სახლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციულად შეაფასა და მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როცა ნასამართლობა არ წარმოადგენდა დასაქმების შეზღუდვის ფორმალურ პირობას, იგი არ უნდა ყოფილიყო განხილული, როგორც ობიექტური გარემოება, რომელიც გაამართლებდა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. შესაბამისად, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მიდგომას. მსგავსი გადაწყვეტილებები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელს უწყობს ცალკეული პრეცედენტების შექმნას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

გარდა, ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი საქმეებისა, საანგარიშო პერიოდში საია ჩართული იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში, რომლებიც წარმატებით დასრულდა:

ირაკლი აბსნაძის საქმე

საიას თბილისის ოფისი იცავდა ჟურნალისტ ირაკლი აბსნაძეს, რომლის მიმართაც გამოძიება 2013 წელს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაიწყო (სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი). კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, მეგობრის მიერ აბსნაძისთვის გამოგზავნილ ამანათში ნარკოტიკული საშუალება აღმოჩნდა. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დასტურდებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა. საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა საიას ადვოკატის არგუმენტები და საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

გიორგი კლდიაშვილის საქმე

საიას თბილისის ოფისი იცავდა არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის ინტერესებს. 2014 წელს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით, შსს-ს კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებმა დააკავეს გიორგი კლდიაშვილი, რომელსაც მასზე გაფორმებული ცეცხლსასროლი იარაღი, შეკეთების შემდგომ, სახლში მიჰქონდა. მის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და გარკვეული პერიოდის მანძილზე იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში. სასამართლომ დაუშვებლად ცნო ბრალდების მტკიცებულებები, შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა და განმარტა, რომ ქმედება საერთოდ არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. სისხლის სამართლის საქმეზე გიორგი კლდიაშვილის ინტერესებს საია იცავდა. ამის შემდგომ, გიორგი კლდიაშვილმა, საიას ადვოკატების დახმარებით, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს უკანონო დაკავებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა.

„კაბელების საქმე“

2014 წლიდან მოყოლებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული და იცავს ერთ-ერთი დაკავებული პირის ინტერესებს მაღალრეზონანსულ „კაბელების საქმეში“. საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს, რომლებსაც ბრალი ედებათ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ გაფლანგვაში. გარდა იმისა, რომ საქმე გამორჩეული და საინტერესოა სამართლებრივი კუთხით (არ არსებობდა დაკავებული პირების მიმართ ბრალის წარდგენის საფუძველი, არ დასტურდება დანაშაულის მოტივი და ა.შ.), გამოიკვეთა ასევე არაერთი გარემოება, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ამ საქმეში არასამართლებრივი, პოლიტიკური მოტივების არსებობაზე.

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საია წლებია ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და წარადგენს სარჩელებს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში შეტანილი იყო 10 სარჩელი, წარმატებით დასრულდა 6 საქმე. საიას მიერ წარმოებული საკონსტიტუციო სარჩელები ეხება: სიცოცხლის უფლებას, სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, თანასწორობის უფლებას, განათლებისა და შრომით უფლებებს.

ახალი საქმეები

მიმდინარე პერიოდში საიას მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელები ეხებოდა ცალკეული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

1. მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელი შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევს შესაძლებლობას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნოს ერთი კონკურსანტი და უარი უთხრას მეორე კონკურსანტს. საიასა და კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წევრი სხვა ორგანიზაციების მოსაზრებით, რომლებთან ერთადაც აღნიშნული სარჩელი მომზადდა, დასაბუთების არარსებობა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან და, ასევე, 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება).

2. დიმიტრი როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელით მოთხოვნილია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც დაწყებითი განათლების მიღების ასაკობრივ ცენზს (6 წელი) ადგენს. ნორმა გასაჩივრებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლთან მიმართებით (განათლების უფლება).

3. ერასტი ჯაკობია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

გასაჩივრებულია „სისხლის სამართლის კოდექსის” 158-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს უკანონო ჩანაწერის სისხლის სამართლის მტკიცებულებად გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელიც ამ ჩანაწერშია ასახული. საია მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის ამგვარი ნორმატიული შინაარსი წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან, რომლითაც კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს არ აქვს იურიდიული ძალა.

4. სსიპ „სრულიად მუსლიმთა უმაღლესი სამმართველო“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

სარჩელი ეხება საქართველოს მთავრობის დადგენილებას, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა პერიოდში სომხების, მუსლიმების, იუდეველების და რომანელი კათოლიკეებისთვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციას. გასაჩივრებული დადგენილება ამ ჯგუფებისგან ითხოვს საერთო საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნას კომპენსაციის მისაღებად. დადგენილება ერთმანეთისგან არ განასხვავებს ისლამის ორ დიდ მიმდინარეობას – შიიტ და სუნიტ მუსლიმებს და მოსარჩელისგან ითხოვს სუნიტ მუსლიმებთან გაერთიანებას, რის გამოც, ეს მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებასთან და მე-19 მუხლით დაცულ რელიგიის თავისუფლებასთან. ამასთან, სომხებს და რომანელ კათოლიკეებს – ორ ქრისტიანულ მიმდინარეობას – საერთო ორგანიზაციის ან წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნა არ მოეთხოვებათ. ამით სადავო დადგენილება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მუსლიმებს და წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასთანაც.

5. თორნიკე გერლიანი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელი შეეხება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ნორმებს, რომლებიც ფაკულტეტის საბჭოში არჩევისათვის სტუდენტისგან ითხოვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრობას. იმავდროულად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს არჩევაში მონაწილეობა მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილებაა. საიას აზრით, ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებას, ასევე, კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გარანტირებულ თანამდებობის დაკავების უფლებას.

6. დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

გასაჩივრებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში ითვალისწინებს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული დადგენილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, ხოლო ჯარიმის და სხვა სახის სახდელების შემთხვევაში, სააპელაციო გადასინჯვა შეუძლებელია. საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლითაც გარანტირებულია სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება.

7. ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

გასაჩივრებულია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში 2016 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ეხება: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების 10 წლიანი ვადის გასვლას და მათთვის უფლებამოსილების დაუყოვნებლივ შეწყვეტას; საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული ნორმების შეჩერებაზე პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებას; ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად აუცილებელი კვორუმის საკითხს; ერთი მოსამართლის უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, სათათბირო ოთხში ყოფნისას, საქმე კოლეგიიდან გადასცეს პლენუმს. საიამ ეს სარჩელი „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ კოალიციაში შემავალ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა. ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ეს ნორმები ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებას (სასამართლოზე ხელმისაწვდომობა).

8. პაატა ბაკურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელი ეხება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ნამსახურობის წლებს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის სტაჟში უთვლის მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროში გადავიდნენ 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 1 თებერვლამდე. საია მიიჩნევს, რომ ეს ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლს (თანასწორობის უფლება).

წარმატებული საქმეები

გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიასა და „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ კამპანიაში შემავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების

კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელში მოსმენების გასაღების დატოვება. იმავდროულად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აუკრძალა ყველა სატელეფონო მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ბლანკეტური ჩაწერა და 2 წლის განმავლობაში შენახვა. საკონსტიტუციო სასამართლომ გადადო გადაწყვეტილების აღსრულება 2017 წლის 31 მარტამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მიეცეს დრო მოსმენების კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2015 წლის 25 ნოემბერს სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი შუალედური გადაწყვეტილება და შეაჩერა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის გასაჩივრებული სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ღვიძლის გადანერგვის დროს მიმღებთან ემოციური კავშირის მქონე არანათესავ პირს გამორიცხავდა დონორთა წრიდან. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მოსარჩელემ ჩაიტარა ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია და შეინარჩუნა სიცოცხლე. იმავდროულად, საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა კანონში, რომლითაც პირს, რომელიც 2 წლის განმავლობაში ახლო, სტაბილურ და ემოციურ კავშირში იმყოფება მიმღებთან, მიენიჭა დონორობის უფლება.

გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ

2016 წლის 30 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო თავდაცვის მინისტრის ის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა სახმელეთო ჯარების და სამხედრო პოლიციის მოსამსახურის კადრების განკარგულებაში დაუსაბუთებლად გადაყვანას, რასაც 4 თვის გასვლის შემდეგ აღნიშნული მოსამსახურის გათავისუფლება მოჰყვებოდა. მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების (სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება) დარღვევა.

„სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქმეში სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმები, რომლებიც საინიციატივო ჯგუფს უკრძალავდა თვითმმართველი ქალაქის მერის და მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლებას.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში



შიდა ეროვნულ დონეზე სტრატეგიულ სამართალწარმოებასთან ერთად, საია აქტიურად იყენებს საერთაშორისო მექანიზმებს ადამიანის უფლებათა დასაცავად. კერძოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ, პარტნიორ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) ერთად, 4 ახალი საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ამავე პერიოდში წარმატებით დასრულდა 4 ადრე წარდგენილი საქმე. ახალ საჩივრებთან ერთად, საია მუშაობდა წინა წლებში ორგანიზაციის მიერ სასამართლოში გაგზავნილ 11 კომუნიცირებულ საქმეზე.

ახალი საქმეები

1. კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№34720/16) და პერტაია საქართველოს წინააღმდეგ (№44888/16)

საიას მიერ წარდგენილი ორი საჩივარი – *კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ* და *პერტაია საქართველოს წინააღმდეგ* – ეხება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის, საიას ბენეფიციარების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა და უკანონო დაკავების ფაქტებს. აღნიშნულ საქმეებში ასევე პრობლემური იყო ეფექტური გამოძიების ჩატარება. წარდგენილი საჩივრებით საია დავობს სახელმწიფოს მხრიდან მომჩივნების მიმართ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილის (არასათანადო მოპყრობისა და წამების აკრძალვა), მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პუნქტის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევის გამო.

2. ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№5631/16)

საჩივარი შეეხება 2015 წლის 19 ივლისს თბილისის საკრებულოს წინ „თბილისი პანორამას“ პროექტის გაპროტესტების მიზნით მიმდინარე აქციის მონაწილეებისთვის გამოხატვის და შეკრების უფლების შეზღუდვას და თავისუფლების უკანონო აღკვეთას. საია ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნების მიმართ კონვენციის მე-5 (თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრების უფლება) და მე-18 (უფლების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლების დარღვევას ასაბუთებს.

წარმატებული საქმეები

ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№71776/12)

2016 წლის 2 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივარი *„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*.

საია ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნის სამი არასრულწლოვანი დისშვილის სახელით დავობდა, რომ მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), ვინაიდან ბავშვები არ იყვნენ სათანადოდ ჩართულნი სამართალწარმოებაში, ეროვნულმა სასამართლოებმა და სოციალურმა მუშაკებმა გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინეს ბავშვების საუკეთესო ინტერესები და მხედველობაში არ მიიღეს მათი სურვილი, ეცხოვრათ დეიდის ოჯახთან ერთად.

მიღებული გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საიას მიერ წარდგენილი არგუმენტაციები და დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ბავშვის უფლებასთან მიმართებით – ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც არსებითად დაიცავს მის ინტერესებს – ხარვეზიანია და არ შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

ეგიზარიანი საქართველოს წინააღმდეგ (№61783/11)

2015 წლის 24 ნოემბერს ევროპულმა სასამართლომ მიღებული განჩინებით, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან

ამორიცხა საქმე „ეგიზარიანი საქართველოს წინააღმდეგ“. წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში სახელმწიფომ მომჩივნის მიმართ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა აღიარა ტერიტორიის განაღმვასთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. მთავრობამ საიას ბენეფიციარს კომპენსაციის სახით 8,000 ევრო და საადვოკატო ხარჯების დასაფარად 1,100 ევრო უნდა გადაუხადოს.

თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№64987/14)

2015 წლის 24 ნოემბერს ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლითაც, საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საიას წარმოებაში არსებული საჩივარი „თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.

ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევა კ.თედლიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების გამო. ამასთან, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიების ეფექტურად წარმართვა. განჩინების თანახმად, სახელმწიფომ მომჩივნებს კომპენსაციის სახით 10 000 ევრო გადაუხადა.

მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ (№4731/10)

2015 წლის 5 ნოემბერს ევროპულმა სასამართლომ განჩინებით განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საჩივარი „მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ“.

საჩივარი ეხება 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლის დროს სამართალდამცველების მხრიდან სახალხო დამცველის წარმომადგენლის – ვახუშტი მენაბდის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას, რა დროსაც მან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიიღო.

ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციით, საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის (წამების აკრძალვა) და მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების (თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევა. ასევე, მთავრობამ საქმეზე ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება აიღო და მომჩივანს კომპენსაციის სახით 4,500 ევრო გადაუხადა.

მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუშაობა დაასრულა რიგით მერვე მოწვევის პარლამენტმა, რომლის ფორმირებაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოხდა. საკანონმდებლო ორგანომ, ოთხწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, არაერთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მიიღო, რომელთა განხილვის პროცესში საიაც აქტიურად მონაწილეობდა.

2016 წელს ორგანიზაციის მიერ გაკეთებული შეფასებები შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღა, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ცვლილებები, ფარული პატრულირება, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონპროექტები, ფემიციდის კანონპროექტი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა, „სპეციალური პენიტენციარული

სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, ასევე, საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით დაგეგმილი მთელი რიგი ცვლილებები – საარჩევნო ოლქების ახლებური ფორმირება, სპეციალური საარჩევნო უბნების განსაზღვრა, არჩევნების პერიოდში გამოვლენილი ძალადობისა და ძალადობის მუქარის ინკრიმინირება და ა.შ.

იმავდროულად, მიმდინარე წლის განმავლობაში საია აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა უწყების მიერ მოწოდებული ნორმატიული აქტების პროექტებზე. სამართლებრივი დასკვნები მომზადდა სისხლის სამართლის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტთან, წინასასამართლო პრობაციის მექანიზმის დანერგვასთან, წამების, არასათანადო მოპყრობისა და ცემა/ძალადობის მუხლების ცვლილებებთან, ასევე 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასა და სხვა ნორმატიული აქტის პროექტებთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიის მუშაობაში და არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სახით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს ჯამში წარუდგინა 5 წერილობითი დასკვნა, სხვადასხვა სამთავრობო უწყებას – 12 წერილობითი მოსაზრება, საკომიტეტო განხილვებისას მოსაზრებები დააფიქსირა 8 კანონპროექტთან დაკავშირებით და გამოაქვეყნა 25 განცხადება.

ნორმატიული აქტების პროექტების განხილვისას, საიას ცალკეული რეკომენდაციები მხედველობაში იყო მიღებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცა:

- **უკონტაქტო პატრულირება** – საიას რეკომენდაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ კანონპროექტში შევიდა ცვლილებები და, გარკვეულწილად, შეიზღუდა პოლიციისათვის კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით განსაზღვრული

ფართო უფლებამოსილების ფარგლები ფარულ პატრულირებასთან დაკავშირებით. თუმცა, საბოლოოდ, პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2012 წლის მოწვევის პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტი არც ერთი მოსმენით არ მიუღია.

- **საკონსტიტუციო სასამართლო** – საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული კრიტიკა დაიმსახურა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებამ, რომლის პარლამენტში ინიცირება ძალიან დაჩქარებულად და საზოგადოებასთან ღია კონსულტაციების გარეშე განხორციელდა. საიასა და კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" წევრი სხვა ორგანიზაციების მწვავე კრიტიკის, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის აპარატსა და ვენეციის კომისიის სამდივნოსთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, საიას შენიშვნები გაიზიარა ვენეციის კომისიამ, რაც მათ საბოლოო დასკვნაშიც აისახა. შესაბამისად, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლებამოსილების გამოყენებისას მოტივირებული შენიშვნების ჩამოყალიბებაში.

- **ფემიციდი** – საანგარიშო პერიოდში მოხდა ცვლილებების ინიცირება, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ფემიციდის აღიარება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად და ამ გზით გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების პრევენცია. საიამ, ამ საკითხზე ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია წარუდგინა კანონპროექტის ავტორებს/ინიციატორებს, რომლებმაც გაითვალისწინეს ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა: ფემიციდის განმარტების შემოტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, პარტნიორის მნიშვნელობის განსაზღვრის აუცილებლობა, ფემიციდის დამამძიმებელ გარემოებად გამოყოფა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლთან მიმართებით და ა.შ. მიუხედავად კანონპროექტის ავტორთა/ინიციატორთა მხრიდან რეკომენდაციების გაზიარებისა, სამწუხაროდ, აღნიშნულ ცვლილებებს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

- **ძალადობა/ძალადობის მუქარა საარჩევნო პერიოდში** – საიას რეკომენდაციით, დაკონკრეტდა ინიცირებული მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში და გაკეთდა მითითება დროის განსაზღვრულ მონაკვეთზე, რომლის თანახმადაც, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ძალადობის/ძალადობის მუქარის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, კოდექსს დაემატა სპეციალური მუხლი.

- **ნაფიცი მსაჯულები** – საია კრიტიკულად აფასებდა ნაფიც მსაჯულთა შეუთავსებლობის ახალ წესს, რომლის თანახმად, გამონაკლისთა სიიდან ხდებოდა ისეთი პროფესიების ამოღება, როგორიცაა: გამომძიებელი, პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. საბოლოო ჯამში, საქართველოს პარლამენტის მიერ ნაწილობრივ შეიცვალა ნორმის პირველადი დისპოზიცია და გამონაკლისთა სიას დაემატა: პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი და ადვოკატი.

- **მიწის რეგისტრაცია** – საიამ ძალიან მწვავედ გააკრიტიკა იუსტიციის სამინისტროს ავტორობით მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ყოველგვარი ინდივიდუალური შესწავლის, სათანადო წარმოების, დაინტერესებული პირების მოწვევისა და ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინების გვერდის ავლით, შესაძლებელს ხდიდა ყველა იმ უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებად მიქცევას, რომელიც არ იყო რეგისტრირებული. საბოლოო ჯამში, 2012 წლის პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტი შეაჩერა.

საკანონმდებლო წინადადებები

საანგარიშო პერიოდში საია აგრძელებდა საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას პრაქტიკაში იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. 2016 წლის მანძილზე შემუშავდა ოთხი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარედგინება საქართველოს ახლად არჩეულ პარლამენტს.

- **საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ**. მისი მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაკავების მარეგულირებელი ნორმებისა და მათი აღსრულებისათვის დამახასიათებელი ხარვეზების აღმოფხვრა.

- **საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ**. აღნიშნული წინადადება ეხება ქმედუუნარობის ინსტიტუტის რეფორმირების შედეგად კანონმდებლობის რეგულირების მიღმა დარჩენილი ქმედუუნარობის სტატუსის გაუქმების პროცედურას და პირებს, რომლებიც ცვლილებების განხორციელებამდე ცნობილნი იყვნენ ქმედუუნაროდ, თუმცა, მათი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ საჭიროებს მხარდაჭერის მიღებას.

- **საკანონმდებლო წინადადება საქართველოს კანონებში – „ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ**. მისი მიზანია 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა უზრუნველყოფა სათანადო სოციალური დაცვის გარანტიებით.

- **საკანონმდებლო წინადადება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.** მისი მიზანია, შეცვალოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომლებიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებთან მიმართებით.

- **ერთობლივი რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.** საიამ, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ერთად, შეიმუშავა ერთობლივი რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, საარჩევნო დავები, გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი უბნები, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩეველთა მოსყიდვა, მედიარეგულაციები და ა.შ.

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მდგომი ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ, უკვე წლებია, საია არა მხოლოდ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სათანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზებისთვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობა აგვისტოს ომით დაზარალებულ პირთა ინტერესების დასაცავად

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2008 წლიდან აქტიურად იყო ჩართული აგვისტოს ომის დროს ჩადენილი უფლებადარღვევის ფაქტების დოკუმენტირებისა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვის საქმეში. ორგანიზაცია 400-მდე პირის წარმომადგენლობას ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ამასთან, წლების განმავლობაში ადვოკატირებდა ჰააგის სასამართლოში გამოძიების დაწყების საკითხს.

2016 წლის 27 იანვარს, აგვისტოს ომიდან 7 წლის შემდეგ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა დაიწყო გამოძიება აგვისტოს ომის დროს, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად პროკურორმა სასამართლოსგან გამოძიების ნებართვა შეზღუდულ ფარგლებში ითხოვა, რომლის პირობებშიც, გამოძიების მიღმა დარჩებოდა არაერთი მძიმე დანაშაულის ფაქტი, მათ შორის, საიას წარმოებაში არსებული საქმეები.

საიამ, ათობით დაზარალებულის სახელით, გამოძიების ფარგლების გაფართოება მოითხოვა

2015 წლის 12 ნოემბერს, საიამ და პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ორგანიზებით, წერილობით მიმართეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს პროკურორის შუამდგომლობას გამოძიების დაწყების თაობაზე და, დამატებით, მოითხოვეს გამოძიების ფარგლების გაფართოება. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ გამოძიებამ აუცილებლად უნდა მოიცვას ქართველი სამხედრო ტყვეების წამების, სამოქალაქო პირებისათვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის, აგრეთვე, კოდორის ხეობიდან ქართველების დევნისა და მათი საკუთრების განადგურების ფაქტები.

მიმართვას, საიასთან ერთად, ხელს აწერდნენ კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჰააგაში გაგზავნილ მიმართვას თან დაურთეს ომით დაზარალებული ასობით ადამიანის მოთხოვნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე. საიას იურისტები, აღნიშნული მიზნით, დაუკავშირდნენ ომით დაზარალებულ ასობით პირს, რომლებიც ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საუბარში აცხადებდნენ, რომ 2008 წლის ომის დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულების ფაქტებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიების დაწყება მათთვის ბოლო იმედს წარმოადგენდა სიმართლის დადგენის, დამნაშავე პირების დასჯისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

საიას თავმჯდომარემ ჰააგის სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეას მიმართა

2015 წლის ნოემბერში ასოციაციის თავმჯდომარე იმყოფებოდა ჰააგაში, სადაც მან სიტყვით მიმართა ჰააგის სასამართლოს წევრი სახელმწიფოების ასამბლეას. თავის გამოსვლაში ანა ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა გამოძიების მნიშვნელობაზე მსხვერპლთა მიერ განცდილი ზიანის აღიარებისა და მათი უფლებების აღდგენის კუთხით. ასევე, ისაუბრა გამოძიების ფარგლების გაფართოების აუცილებლობაზე, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება სიმართლის და სამართლიანობის მიღწევა აგვისტოს ომთან მიმართებით. მან, საიას სახელით, მხარი დაუჭირა გამოძიების დაწყების მოთხოვნას და მოუწოდა სასამართლოს, გაეფართოებინა გამოძიების ფარგლები.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, გამოძიების ფარგლები გაფართოვდა. საია კვლავ აქტიურად გააგრძელებს მუშაობას აგვისტოს ომით დაზარალებულ პირთა უფლებების დასაცავად.

საქმიანობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიმართულებით

წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განსაკუთრებით აქტიური იყო სასამართლო სისტემაში არსებული მანკიერი პრაქტიკის და სისტემური ხარვეზების გამოვლენის, ასევე, ამ თემებზე სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირებულობის გაზრდისა და ცვლილებებისათვის საჭირო პოლიტიკური ნების ფორმირების მიზნით, საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მიმართულებით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საია, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ ერთად, აქტიურად იყენებდა როგორც საჯარო ფორუმებსა და სამუშაო შეხვედრებს, ასევე, ქუჩის საპროტესტო აქციებს და მედიას.

საიას აქტიური მონაწილეობით, „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაიწყო საზოგადოებრივი კამპანია „სამართალი ითხოვს“.

აღსანიშნავია, რომ, კამპანიის შედეგად, სასამართლოში არსებული პრობლემები საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკუსიების ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა. შედეგად, რეფორმის მესამე ტალღამ გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განიცადა, თუმცა, საბოლოოდ, ბუნდოვანი მიზეზების გამო, რეფორმა პრაქტიკულად ჩავარდა. ამის მიუხედავად, თემას აქტუალურობა არ დაუკარგავს, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ სასამართლო რეფორმა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი, თავის საარჩევნო პროგრამაში შეიტანა და საზოგადოებას მისი გადაწყვეტის გზები შესთავაზა. სასამართლო რეფორმის მნიშვნელობასა და დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფის აუცილებლობაზე ხაზგასმით საუბრობდნენ ამ პერიოდში საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროკავშირისა და აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქმიანობა ქალთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის ხელშეწყობის მიმართულებით

წლის განმავლობაში, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, საია აგრძელებდა აქტიურ მუშაობას ქალთა უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ საზოგადოებრივი სოლიდარობის გაღვივების, ასევე, სახელმწიფოს ეფექტური და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის ხელშეწყობის მიმართულებით. თუმცა, საანგარიშო პერიოდი გამორჩეული იყო იმითაც, რომ ორგანიზაციამ თავისი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ტრადიციული მიმართულების არსენალში ახალი, განსხვავებული ფორმები და ინსტრუმენტები შეიტანა.

საიას პირველი დოკუმენტური ფილმი ქალთა უფლებებზე

2015 წლის დეკემბერში კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა პრემიერა საიას მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმისა „2014 – მოკლული ქალების ხმა, მიწვდენილი საზოგადოებისთვის მათი სიკვდილის შემდეგ”.

ფილმში მოთხრობილია 2014 წელს მომხდარი ფემიციდის სამი შემთხვევის შესახებ, რომლებიც, კონკრეტული ადამიანური ტრაგედიების მაგალითზე, აჩვენებს ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებს, წამახალისებელ ფაქტორებს, შედეგებს, ასევე, სახელმწიფო ინსტიტუტების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო) არაეფექტურობას ამ პრობლემის სწორად დანახვისა და მასთან გამკლავების მიმართულებით. ფილმი საიასა და „სტუდიომობილი – აქცენტი მოძრაობაზე“ ერთობლივი ნამუშევარია.

წლის განმავლობაში ფილმის ჩვენება და საჯარო დისკუსია გაიმართა თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და თელავში, ადგილობრივი ხელისუფლების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დაზარალებულთა უფლებამონაცვლეებისა და ექსპერტების მონაწილეობით.

2016 წელს ფილმი ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე და მოეწყო საჯარო ჩვენებები პანკისსა და ქვემო ქართლის რეგიონში.

საიას კვლევა გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში

2015 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დეტალურად შეისწავლა და გააანალიზა სახელმწიფოს რეაგირების პოლიტიკა და პრაქტიკა 2014 წლის მანძილზე მომხდარ ფემიციდის შემთხვევებთან დაკავშირებით. „ფემიციდის საქმეების განაჩენები – 2014“ პირველი სამართლებრივი კვლევაა საქართველოში, რომელიც სისტემურად აანალიზებს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებს ფემიციდის საქმეებზე და წარმოაჩენს იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემაში არსებობს გენდერული დანაშაულების გამოძიებისა და გასამართლების კუთხით. სწორედ აღნიშნული კვლევა მიუთითა გაეროს სპეციალურმა მომხ-

სენებელმა **ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ თავის ანგარიშში საქართველოში ვიზიტის შესახებ.**

საიას კვლევაზე დაყრდნობით, სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „ხარვეზები არსებობს ფემიციდის შემთხვევების გამოვლენის, კლასიფიცირების, შემამსუბუქებელი/დამამძიმებელი გარემოებების განსაზღვრის და დამნაშავეების მიმართ სანქციების დაწესების მხრივ. შესწავლილი თორმეტი საქმიდან არცერთ შემთხვევაში არ მოხდა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მოტივის დადგენა.“

ვიდეორგოლები ქალთა უფლებების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა ვიდეორგოლოები ადრეული ქორწინების საფრთხეების, ასევე, ქალთა საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმებისა და სამართლებრივი გარანტიების შესახებ. გარდა ამისა, მომზადდა სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც ასახავს სექს-მუშაკთა მიერ განცდილი ძალადობის რეალურ ისტორიებს და მათთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის ბარიერებს. ვიდეორგოლები ნაჩვენები იყო საქართველოს სხვადასხვა ტელევიზიის ეთერით.

ადვოკატირება საერთაშორისო ასპარეზზე

ცნობიერების ამაღლების პარალელურად, ორგანიზაცია განაგრძობდა ადვოკატირებას ქალთა უფლებების მიმართულებით, მათ შორის, საერთაშორისო ტრიბუნების გამოყენებით. კერძოდ, **2016 წლის 22 აგვისტოს** საიამ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CEDAW) წარუდგინა ალტერნატიული ანგარიში, რომელიც ეხება 2014 წლის ივლისში კომიტეტის მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე. ანგარიში მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის თაობაზე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული სიტუაციის შეფასებას და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების მიმოხილვას. ანგარიშში გაანალიზებულია სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის, ასევე, ბავშვთა ქორწინების, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, წინააღმდეგ. გარდა ამისა, ანგარიში ეხება ნარკოტიკების მომხმარებელ და სექს-მუშაკ ქალთა მიმართ ძალადობას და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული საკითხების კვლევა საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან – „თანადგომასა” და „აკესოსთან“ – თანამშრომლობით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით განახორციელა.

საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციებსა და პლატფორმებში

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“

საანგარიშო პერიოდში, მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საია ზედიზედ მეორედ აირჩიეს კოალიციის თავმჯდომარედ.

საიას აქტიური მონაწილეობით, კოალიციამ რამდენიმე საჯარო ღონისძიება გამართა სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევების განხილვის მიზნით, სასამართლო ხელისუფლების, ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

2015 წლის 21 დეკემბერს ჩატარდა საზოგადოებრივი ფორუმი „საქართველოს სასამართლო სისტემის გამოწვევები“, რომელზეც კოალიციამ წარმოადგინა დეტალური ხედვები მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის, სპეციალიზაციისა და საქმის განაწილების მიმართულებით არსებული ხარვეზების და მათი მოგვარების გზების თაობაზე. ღონისძიების ფარგლებში გამართულ დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, პარლამენტის თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, სახალხო დამცველმა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელმა, ასევე, სხვა დამსწრე პირებმა.

2016 წლის 11 მაისს გამართულ ფორუმზე – სახელწოდებით „სასამართლო სისტემის რეფორმა: შემდგომი ნაბიჯები“ – კოალიციამ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და საზოგადოებას წარუდგინა თავის მიერ შემუშავებული კანონპროექტები სასამართლო სისტემის რეფორმირების კუთხით. ეს ეხება როგორც სასამართლო სისტემის რეფორმირების მესამე ტალღით გათვალისწინებულ საკითხებს, ისე სხვა მიმართულებებს, რომლებიც დახვეწას საჭიროებს, მათ შორის: დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით მოსამართლეთა დანიშვნის სისტემის შემოღებას, იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმირებას, ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერებას და ა.შ. ფორუმის შემდგომ, კოალიციის მიერ მომზადებული კანონპროექტები გაეგზავნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები კოალიციას წერილობით მიაწოდა.

საია, კოალიციასთან ერთად, უკვე შემდეგი მოწვევის პარლამენტთან გააგრძელებს მუშაობას სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირების პროცესის ხელშეწყობის მიმართულებით.

საზოგადოებრივი კამპანია „ეს შენ გეხება“

2016 წელს საზოგადოებრივი მოძრაობა „ეს შენ გეხებას“ გააქტიურება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებამ გამოიწვია. კადრების გასაჯაროებიდან რამდენიმე საათში აღნიშნულ თემაზე სწორედ საიაში გაიმართა პირველი პრესკონფერენცია. კამპანიაში შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროების მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს და კამპანიის გააქტიურება დააანონსეს. 2016 წლის 19 მარტს, „ეს შენ გეხებას“ ორგანიზებით, გაიმართა საპროტესტო აქცია, რომელშიც, ქვეყნის მასშტაბით, საიას თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“

მიმდინარე წელს, პლატფორმის ფარგლებში, საია არაერთ საჯარო განცხადებას შეუერთდა, რომლითაც ორგანიზაცია, პარტნიორებთან ერთად, სიძულვილის გამოვლენის სხვადასხვა შემთხვევას გამოეხმაურა.

„კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის“

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საია აქტიურად იყო ჩართული „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის“ მუშაობის პროცესში. ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო არაერთი საჯარო განცხადების მომზადებაში, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული მედიაგარემოს გაუმჯობესებას და ჟურნალისტთა ინტერესების დაცვას, მათ შორის, ეხმიანებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებულ მოვლენებს.

კოალიცია თანასწორობისთვის

საია არის „კოალიცია თანასწორობისთვის“ აქტიური წევრი. წლის განმავლობაში საიას წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კოალიციის სხვადასხვა აქტივობაში. 2016 წლის 17 მაისს კოალიცია გამოეხმაურა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო

დღესთან (IDAHO) დაკავშირებით ლგბტ თემის წევრებისა და აქტივისტებისთვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკას და სახელმწიფოს არაეფექტური და დისკრიმინაციული პოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდა.

საერთაშორისო ვიზიტები და კონფერენციები

წლის განმავლობაში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოხატავდა ინტერესს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პოზიციების მიმართ და ორგანიზაციის წარმომადგენლებს სხვადასხვა თემატურ შეხვედრაზე მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად იწვევდა. საიას თანამშრომლებმა არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რომლებზეც წარადგინეს ორგანიზაციის ხედვები და მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ:

- ეკატერინე ციმაკურიძემ (პროექტის კოორდინატორი) მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით შექმნილი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პროგრამული თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. შედეგად, მომზადდა დასკვნები სხვადასხვა ქვეყანაში მართლმსაჯულების რეფორმის თემატურ საკითხებზე, ასევე შემუშავდა რეკომენდაციები, მათ შორის, საქართველოსთვის.

- ნინო ცუხიშვილმა (პროექტის ანალიტიკოსი) მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის 14-16 სექტემბრის სამუშაო შეხვედრაში (პარიზი, საფრანგეთი). შეხვედრა მიეძღვნა ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს მეოთხე რაუნდის მონიტორინგის ანგარიშის განხილვას. საიას სახელით, ნინო ცუხიშვილის მიერ წარდგენილი არაერთი რეკომენდაცია – ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიღების, საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის ნორმების აღსრულების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის გამონაკლისებისა და პირდაპირი მიყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების შემცირების, სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, ასევე, სასამართლო სისტემის რეფორმების გაგრძელების თაობაზე – მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში აისახა.

- თამარ გვარამაძემ (აღმასრულებელი დირექტორი) მონაწილეობა მიიღო ევროპის პარლამენტში 27 სექტემბერს საქართველოსადმი მიძღვნილ პოლიტიკურ დიალოგში, სადაც განხილული იყო ქვეყანაში უკანასკნელ წლებში გატარებული რეფორმები, მიღწეული შედეგები და არსებული გამოწვევები. თამარ გვარამაძემ წარადგინა მოხსენება, რომლითაც საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი შეაფასა.

- თამარ დეკანოსიძემ (სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი) მონაწილეობა მიიღო 2016 წლის კონფერენციაში "Women Deliver 2016 Conference", რომელიც იყო ბოლო 10 წლის მანძილზე ყველაზე მასშტაბური გლობალური კონფერენცია ქალთა ჯანმრთელობისა და სხვა უფლებების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობდა 6000-მდე წარმომადგენელი 169 ქვეყნიდან და მასზე განხილულ მთავარ საკითხებს წარმოადგენდა: დედათა უფლებები; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა; ქალთა განათლების, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. თამარ დეკანოსიძემ კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება ქალის უფლებებზე ორსულობისა და მშობიარობის დროს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

- ლელა ტალიურმა (საარჩევნო პროექტების კოორდინატორი) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ფული პოლიტიკაში", რომელიც თბილისში 2016 წლის 18-19 თებერვალს გაიმართა. ლელა ტალიურმა კონფერენციის მონაწილეებს პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების მონიტორინგის კუთხით საიას გამოცდილება გაუზიარა.

- **საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების მონიტორინგის** შედეგად გამოვლენილი მიგნებების გაცნობისა და შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირების მიზნით, ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი 2015 წლის 7-9 დეკემბერს, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, იმყოფებოდა ქ. ბრიუსელში, სადაც გაიმართა შეხვედრები ევროპარლამენტის წევრებთან (სხვადასხვა პარტიიდან), მათ შორის, მომხსენებელთან საქართველოს საკითხებზე, ასევე, იოჰანეს ჰანის ოფისის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა უწყების (EEAS) წარმომადგენლებთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართულებით მომუშავე მაღალი თანამდებობის პირებთან.

- **ასოცირების ვალდებულებების შესრულება: პროგრესი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში**. 2016 წლის 14 იანვარს საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი იმყოფებოდა ბრიუსელში, ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეისა და ღია საზოგადოების ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სადაც ის მოხსენებით გამოვიდა და, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კონტექსტში, შეაფასა საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, ისაუბრა ამ მიმართულებით არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე და ხაზი გაუსვა რეფორმის გაგრძელების აუცილებლობას.

- **საკონსულტაციო შეხვედრა გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან.** 2016 წლის 16 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე მონაწილეობდა საკონსულტაციო შეხვედრაში დუბროვკა სიმიონოვიჩთან – გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების დარგში. ანა ნაცვლიშვილმა ისაუბრა ორგანიზაციის საქმიანობაზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და 2015 წელს განხორციელებულ კვლევაზე ფემიციდის საქმეების შესახებ.

- 2016 წლის 18-19 მაისს ანა ნაცვლიშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისში ეუთოს მეორე საექსპერტო შეხვედრაში „სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შემცირებისა და

ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის თაობაზე“. საიას თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საქართველოში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და ისაუბრა შეკრების თავისუფლებაში არაკანონიერი/არაპროპორციული ჩარევის მანკიერ პრაქტიკაზე, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ განსხვავებული აზრის მიუღებლობასა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტრუმენტალიზაციის პრობლემაზე.

- **„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში“.** 24-25 მაისს ანა ნაცვლიშვილი მოხსენებით გამოვიდა თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ევროსაბჭოს მაღალჩინოსნების, ექსპერტების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა დისკუსია საქართველოს მიერ ევროკონვენციის იმპლემენტაციის საკითხებზე. ნაცვლიშვილმა ისაუბრა საიას გამოცდილებაზე სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოების მიმართულებით, ასევე, აღნიშნა, რომ საია ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებების ადვოკატირებისა და ამა თუ იმ არასწორი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აქტიურად იყენებს კონვენციისა და სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის მიმართულებით.

- 2016 წლის სექტემბერში საიას თავმჯდომარე მოხსენებით წარდგა ბრიუსელში საარჩევნო დამკვირვებლების მე-2 საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ევროკავშირის ორგანიზებით გაიმართა. ანა ნაცვლიშვილმა მონაწილეებს გაუზიარა საიას გამოცდილება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ცვლილებების ადვოკატირების კუთხით და აქტიური მონაწილეობა მიიღო ფორუმის ფარგლებში მიმდინარე დისკუსიებში.

- **საადვოკაციო ვიზიტი ბერლინში.** ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებების გაცნობისა და შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირების მიზნით, ანა ნაცვლიშვილი 2016 წლის 26-28 სექტემბერს, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, იმყოფებოდა ქ. ბერლინში, სადაც შეხვედრები გაიმართა ბუნდესტაგის, კანცლერის ოფისისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, ასევე, კავკასიისა და საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ ჟურნალისტებსა და ექსპერტებთან.

- **დისკუსია საქართველოს შესახებ ბერლინში, ბიოლის ფონდის სათავო ოფისში.** საიას თავმჯდომარემ, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ბერლინში, ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაში. თავის მოხსენებაში ანა ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე, გამოწვევებსა და მოლოდინებზე. მან ასევე ხაზი გაუსვა ევროკავშირის მიერ საქართველოს კონტექსტში ნაკისრი ვალდებულებების (კონკრეტულად ვიზალიბერალიზაციის ვალდებულების) შესრულების მნიშვნელობას.

მაღალი დონის შეხვედრები საქართველოში ვიზიტად მყოფ პირებთან

წლის განმავლობაში ასოციაციის თავმჯდომარე და თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ შეხვედრებში როგორც ევროკავშირისა და ნატოს, ასევე აშშ-ისა და სხვა პარტნიორი ქვეყნების მაღალჩინოსნებთან, რომლებიც საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდნენ. მათ შორის, აღსანიშნავია შეხვედრები ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების საკითხებში – ფედერიკა მოგერინისთან, ევროკავშირის უმაღლეს კომისართან ვაჭრობის საკითხებში – სესილია მალმსტრომთან, აშშ-ის კონგრესის დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის წევრებთან, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან, ეუთოსა და NDI-ს საარჩევნო მონიტორინგის მისიებთან და ა.შ. საია აქტიურად იყენებდა ამ პლატფორმებს ორგანიზაციის საქმიანობის და მისი შედეგების ადვოკატირებისთვის შესაბამის თანამდებობის პირებთან.

მონაწილეობა სხვადასხვა კომისიასა და სამუშაო შეხვედრაში

წლის განმავლობაში საიას წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის და წამების წინააღმდეგ უწყებათაშორისი კომისიების მუშაობაში, ასევე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიაში.

საიას იურისტის – ირმა პავლიაშვილის ჩართულობით, საიასა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციისა და უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, შემუშავდა და ხელი მოეწერა მემორანდუმს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთგვაროვანი განმარტების შესახებ, ასევე – ქცევის კოდექსს სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის.

საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი, „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ სახელით, გახდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენ მოსამართლეთა კანდიდატურების შესარჩევი სამთავრობო კომისიის წევრი. საიას თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში და, როგორც კომისიის წევრმა, შეაფასა არა მხოლოდ კონკურსში მონაწილე კანდიდატები ინდივიდუალურად, არამედ, ასევე – თავად შერჩევის პროცესი და კომისიის საქმიანობა ამ მიმართულებით. გამოვლენილი ხარვეზების და ნაკლოვანებების თაობაზე, საიას თაოსნობით, კოალიციამ სპეციალური საჯარო მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელშიც განხილული იყო ის მიზეზები, რომელთა გამოც, კოალიციის შეფასებით, კანდიდატების შერჩევის პროცესი ემსახურებოდა არა დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატთა შესაბამისობის დადგენას, არამედ წინასწარ განსაზღვრული კანდიდატების უპირობო მხარდაჭერას. კოალიციის სახელით, აღნიშნული ინფორმაცია ასევე მიეწოდა ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კომისიას სტრასბურგში.

ანა ნაცვლიშვილი კოალიციის სახელით ასევე მონაწილეობს მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით იუსტიციის საბჭოს მიერ შექმნილი კომიტეტის მუშაობაში.

საჯარო განცხადებები

საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სამართლებრივი თუ პოლიტიკურ-სამართლებრივი თემა, რაზეც ორგანიზაციამ არ გამოხატა საკუთარი პოზიცია საჯარო განცხადების სახით, ინდივიდუალურად თუ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. წლის განმავლობაში საიამ გააკეთა 100-ზე მეტი განცხადება, აქედან – 40-ზე მეტი ინდივიდუალურ რეჟიმში, ხოლო 60-ზე მეტი – კოალიციურად. განცხადებებს შორის ყველაზე მეტად ჭარბობდა შემდეგი თემატიკა: საარჩევნო და სასამართლო საკითხები; მედიის თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (უკანონო

მოსმენების კონტექსტში). საიას განცხადებები შეეხებოდა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, მათ შორის, კონკრეტულ საქმეებზე ორგანიზაციის მიერ დაფიქსირებულ სამართლებრივ პოზიციას. ყველაზე ხშირად საია კოალიციურ განცხადებებს აკეთებდა მართლმსაჯულების კოალიციის, მედიაკოალიციისა და კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფორმატში.

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები და მრგვალი მაგიდები

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანია მოიცავდა დაინტერესებული ჯგუფებისთვის საინფორმაციო სემინარების, მრგვალი მაგიდის დისკუსიების და საჯარო შეხვედრების ჩატარებას.



წლის განმავლობაში საიას ოფისების მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე, როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში, განხილული იყო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თითქმის ყველა საკითხი, რომლებიც ასევე პროექტების თემატიკას წარმოადგენდა, მათ შორის: ადგილობრივი თვითმმართველობა და საჯარო მოხელეთა უფლებები; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა; საარჩევნო პროცედურები; ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა; მოწმის დაკითხვის ახალი წესი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები; ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული თემები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები; ნაადრევი ქორწინება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; გენდერული თანასწორობა; ადგილობრივი სოციალური პროგრამები; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; შრომითი ურთიერთობა; სოციალური შეღავათები მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის; ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.

ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

მიმდინარე საანგარიშო წელს საიას იურისტები, მრგვალი მაგიდებისა და სასემინარო შეხვედრების პარალელურად, გადიოდნენ საქართველოს რეგიონებში და აქტიურ სამუშაოებს ეწეოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, არამედ ცდილობდნენ, დახმარებოდნენ მათ იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელთა იდენტიფიცირებაც ადგილზე ვიზიტის დროს ხდებოდა.

საანგარიშო პერიოდში, საიამ აქტიური საადვოკაციო კამპანია წარმართა თბილისის, რუსთავის, თელავის, გორის, მცხეთის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და ახალციხის თვითმმართველ ქალაქებში, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით, პროექტების – „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში“ და „მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ – ფარგლებში. კამპანია მიზნად ისახავდა ადგილობრივი პრობლემების (მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია-მოწესრიგება, დასუფთავება და სხვა საკითხები) იდენტიფიცირებასა და მოგვარებას.

რეგიონებში წარმატებული ადვოკატირების მაგალითები

წარმატებული საადვოკაციო კამპანიის შედეგად, რეგიონებში არაერთი ისეთი პრობლემა მოგვარდა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა, როგორიცაა, მაგალითად: თელავში სოფელ კურდღელაურის ხევის რეაბილიტაცია/გაწმენდისა და ბუნებრივი წყლების ხარისხის ლაბორატორიული შემოწმების ხარჯების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტში; ოზურგეთში შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობა ახალგაზრდული ცენტრის, კულტურის სახლისა და ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილებზე; ზუგდიდში შშმ პირებისათვის ადაპტირებული გადასასვლელების მოწყობა, ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და დასუფთავების პრობლემების მოგვარება; გორში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავება, რაც უპრეცედენტოა და შესაძლებელს გახდის თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მექანიზმების ეფექტურ განხორციელებას და ა.შ.

გარდა ამისა, საიას ოზურგეთის ოფისმა, ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, აწარმოა ადვოკატირების კამპანია ოზურგეთში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნის საწინააღმდეგოდ. ადგილობრივი მოსახლეობა შეწუხებული იყო გაურკვეველი სუნითა და მხუთავი აირით, რომელიც, მათი მოსაზრებით, ქარხანაში სათანადო ნებართვის გარეშე, ტყვიის კუსტარულად გადამუშავებისას მიმდინარე საწარმოო პროცესის შედეგად დგებოდა. ექსპერტების შეფასებით, ასევე მოსალოდნელი იყო, რომ ზიანი მიადგებოდა გარემოს. კამპანიის ფარგლებში, საიამ შეხვედრები გამართა მოსახლეობასთან, საწარმოს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან. საბოლოოდ, მოსახლეობის პოზიცია გაიზიარა ხელისუფლებამაც და ინვესტორმაც, რომელმაც ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნის პროექტი შეაჩერა.

საიას ოზურგეთის ოფისმა, სოფელ მაკვანეთისა და კვირიკეთის მცხოვრებთა თხოვნით, განახორციელა ადვოკატირების კამპანია მდინარე ბჟუჟიდან ინერტული მასალების ლიცენზიის პირობების დარღვევით მოპოვების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული მდინარიდან ლიცენზიის მფლობელი ორი კომპანია, ლიცენზიის პირობებით დაშვებული 3 მეტრის ნაცვლად, 6 მეტრი სიღრმიდან იღებდა ინერტულ მასალას, რაც საფრთხეს უქმნიდა როგორც მდინარის კალაპოტს, ასევე მდინარის ნაპირზე მცხოვრებ მოსახლეობას. ადგილობრივი მაცხოვრებლები ასევე შეწუხებულნი იყვნენ ღამის საათებში საწარმოო პროცესით გამოწვეული ხმაურით. ადვოკატირების კამპანიის შედეგად, ზედამხედველობის სამსახურმა ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა ზემოხსენებული ორივე კომპანია, შეწყდა ღამის საათებში ინერტული მასალების მოპოვება, ამასთან, ადგილობრივმა თვითმმართველობამ განახორციელა ინერტული მასალით დატვირთული ტექნიკის მიერ დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაცია.

მედიამონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიასაშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია, თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკა:



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საია მედიაში განსაკუთრებით აქტიურობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ასევე, „რუსთავი 2“-ის საქმეზე და კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში. საიას თავმჯდომარემ და იურისტებმა არაერთ პირდაპირ ეთერსა თუ ტელეგადაცემაში მიიღეს მონაწილეობა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს, 8 ოქტომბერს, მედიაში გაშუქების კუთხით, საიას მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის. ორგანიზაციის შეფასებებს და პოზიციებს არჩევნებთან დაკავშირებით აშუქებდნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მედიაკომპანიები.

ანა ნაცვლიშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა **FRANS PRESS**-ში, სადაც საიას თავმჯდომარემ საქართველოს საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა შეაფასა. ასევე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე, ვიზალიბერალიზაციასა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე საიას თავმჯდომარის ინტერვიუ გადაიცა გერმანიის საზოგადოებრივი ტელევიზიით, ხოლო ავსტრიის საზოგადოებრივ რადიოსთან ინტერვიუში ანა ნაცვლიშვილმა არჩევნების დღე შეაჯამა.

გარდა არჩევნების თემატიკისა, საიას პოზიციით უცხოური მედია სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებითაც ინტერესდებოდა. 2016 წელის 14 ნოემბერს „Liberation"-ში გამოქვეყნდა ანა ნაცვლიშვილის კომენტარი საქართველოში არსებულ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით.


Lutte antidrogue en Géorgie : «La politique menée privilégie la punitio...

Lutte antidrogue en Géorgie : «La politique menée priv punition à la réhabili

Par Estelle Pattée — 14 septembre 2016 à 10:20

NO PRISON FOR WE

Lutte antidrogue en Géorgie : «La politique menée privilégie la punitio...

(«Un jeune de 22 ans s'est pendu à Samtredia, en Géorgie. Sa lettre de suicide laisse entendre qu'il a été battu et menacé par la police»).

L'affaire a été massivement relayée par les médias nationaux. C'est même devenu un sujet central dans le débat public. A trois semaines des élections législatives, le 8 octobre, la majorité des partis politiques géorgiens font campagne pour une décriminalisation des drogues douces. «*Ce drame démontre que la police dispose de larges pouvoirs pour abuser et violer les droits des personnes au nom de la loi et de la lutte contre les crimes liés à la drogue*», s'indigne auprès de *Libération* Ana Natsvlishvili, présidente de l'Association des jeunes avocats géorgiens (Gyla). L'histoire de Demur Sturua, loin d'être un cas isolé, révèle les dérives de la politique de «tolérance zéro» envers les drogues, menée depuis dix ans par le gouvernement géorgien.

ტელე-რადიო გადაცემები და საინფორმაციო ბროშურები

საიას იურისტები, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდნენ როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების ადგილობრივ მაუწყებლებთან და მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მომზადებულ ტელე-რადიო გადაცემებში.

გარდა ამისა, საიას იურისტების რჩევების მოსმენა, ე.წ. პოდკასტების სახით, შესაძლებელი გახდა ორგანიზაციის ვებგვერდის საშუალებით – www.gyla.ge.

საანგარიშო პერიოდში, აჭარის ტელევიზიასთან 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საიას აჭარის ფილიალის იურისტები მონაწილეობდნენ საავტორო გადაცემაში „ადვოკატის რჩევები", ხოლო ქუთაისის ფილიალის იურისტები, ტელეკომპანია „რიონთან" 2015 წელს დადებული მემორანდუმის ფარგლებში, მონაწილეობდნენ საავტორო გადაცემაში „კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის". გადაცემებში, ძირითადად, განიხილებოდა რეგიონების მასშტაბით არსებული აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გასვლითი კონსულტაციებისა და შეხვედრებისას მოსახლეობისათვის დასარიგებლად გამოიცა ბროშურები შემდეგ აქტუალურ თემებზე: მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში; დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მექანიზმები; პრაქტიკული რჩევები პოლიციასთან ურთიერთობისას; საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და ფულადი კომპენსაციის მიღების პირობები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ძირითადი პრინციპები და ა.შ.

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში საიამ, გასული წლების მსგავსად, აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა. კერძოდ, მომზადდა არაერთი ანტიკორუფციული თუ სხვა თემატური კვლევა, განხორციელდა მართლმსაჯულების პრობლემების ანალიზი, რაც გამოხატა სასამართლო პროცესების მონიტორინგსა და სასამართლოს ადმინისტრირების საკითხების შესწავლაში. საიას გუნდი აქტიურად მუშაობდა ასევე სხვა აქტუალურ თემებზე.

სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საიამ გამართა სასამართლო პროცესების მონიტორინგის მე-7 და მე-8 ანგარიშების პრეზენტაცია. ამავე პერიოდში, სასამართლო პროცესების მონიტორინგთან ერთად, საიამ დაიწყო სასამართლო განჩინებების შესწავლა და მათი შეფასება დასაბუთებულობის და კანონთან შესაბამისობის კუთხით. აღნიშნულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა, საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა უფრო სრულყოფილი სურათი ჩხრეკა-ამოღების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლისა და ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დასაბუთებულობის მდგომარეობის შესახებ. საია აგრძელებს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლას და, ამ მეთოდით, სასამართლოებისა და პროკურატურის მუშაობის უფრო სიღრმისეული ანალიზის მომზადებას.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საიამ მოამზადა საკანონმდებლო წინადადება დაკავების კანონიერებაზე ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამჯერად უკვე ახალი მოწვევის პარლამენტთან გააგრძელებს ადვოკატირებას მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და კარგი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის მიმართულებით.

წინა წლების მსგავსად, მონიტორინგის ანგარიშმა დიდი დაინტერესება გამოიწვია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ამჯერადაც ისინი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია მითითებული, როგორც შესაბამისი წყარო.

2016 წლის თებერვლიდან საია ახალი მეთოდოლოგიით აგრძელებს სასამართლო პროცესების მონიტორინგს. კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რელიგიური უმცირესობები, ქალი ბრალდებულები და დაზარალებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში გამოიცა საიასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთობლივი №4 ანგარიში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომელშიც 2015 წლის დაკვირვების შედეგებია ასახული.

მონიტორინგმა გამოავლინა საბჭოს საქმიანობაში არსებული ხარვეზები საბჭოს მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის, სასამართლო სისტემის საკანონმდებლო რეფორმის განხორციელების მიმართულებით, ასევე, საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და საკითხების საჯარო განხილვის თვალსაზრისით.

კვლევა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული პირების უფლებებთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა, რომელიც ეხება დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართლის პროცესში. კვლევაში წარმოდგენილია როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და რეკომენდაციები დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებების სათანადოდ დაცვისთვის.

ანგარიში სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების და მათზე სახელმწიფოს რეაგირების შესახებ



საიამ გააანალიზა მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ის საქმეები, რომლებშიც სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენ პირებად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გვევლინებიან. საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზმა გამოკვეთა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების არაეფექტურობა, ტენდენციები და ხარვეზები, რაც სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასტურია.

ანტიკორუფციული კვლევები და მონიტორინგი

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები წესის გარეშე

კვლევა, რომელიც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებს ეხება, საიას მიერ, 2010-2015 წლების მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული შვიდი ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე მომზადდა.

საჯარო მოხელის შეფასების სისტემა – ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო



კვლევაში დეტალურად არის განხილული საჯარო მოხელის შეფასების არსი, მიზანი და ძირითადი პრინციპები, ასევე, შეფასების სისტემის მოდელები და სხვა საკითხები. ამავე კვლევის ფარგლებში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე, საიამ მოამზადა შესაბამისი დეტალური რეკომენდაციები.

დისციპლინური პასუხისმგებლობა საჯარო სამსახურში

კვლევაში განხილულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს მოქმედი და ახალი კანონის შედარებითი ანალიზი და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი რეგულირება დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ასევე, შესწავლილია სხვადასხვა უწყებიდან და სასამართლოდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია 2015 წლის განმავლობაში ჩატარებული დისციპლინური წარმოებისა და სამსახურიდან გათავისუფლების საქმეების შესახებ.

საქართველოს თვითმმართველი ქალაქების საკუთრებაში არსებული საწარმოები – გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრობლემები

კვლევაში წარმოდგენილია ინფორმაცია 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის პირველი მარტის ჩათვლით და მოიცავს მასალებს საქართველოში არსებული 12 თვითმმართველი ქალაქის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი – „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში"

საიამ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, მოამზადა საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების თაობაზე, რომელიც საქართველოს მთავრობას წარუდგინა. დოკუმენტი მოიცავს სახელმწიფო საწარმოების მართვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სფეროში არსებული პრობლემების ანალიზს და, ასევე, აღნიშნული პრობლემების გადაჭრის შესაძლო ალტერნატივებს. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია 16 რეკომენდაცია სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების, მართვის, საკადრო პოლიტიკის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით.

ავტომობილით დედამიწის გარშემო

კვლევა, რომელიც საიას დუშეთის ოფისის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა, ეხება 2015 წლის განმავლობაში, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და აღნიშნულ რეგიონში არსებული თვითმმართველობების მიერ (გარდა ყაზბეგისა) სამსახურებრივი მიზნებისათვის მოხმარებული საწვავის ოდენობასა და მის ხარჯვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დამოუკიდებელი მედიაგარემოს ხელშეწყობა

2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, საიამ განახორციელა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ დაფინანსებული პროექტი „დამოუკიდებელი მედიაგარემოს ხელშეწყობა.“ პროექტის მიზანი იყო საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, რის მისაღწევადაც პროექტში განხორციელდა რამდენიმე კვლევა. მათ შორის:

- ტელევიზიის რეიტინგის კვლევითი კომპანიების საგადასახადო კონტროლი: საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები;
- მიწოდებისა და გადაცემის ვალდებულების (Must Carry – Must Offer) მდგომარეობა საქართველოში და საერთაშორისო რეგულაციები;
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა: საქართველოს მაგალითი და საერთაშორისო რეკომენდაციები.

ასევე, პროექტის ფარგლებში, ფოკუს ჯგუფის მეთოდოლოგიის გამოყენებით, საიამ შეაფასა რეგიონული მედიის მდგომარეობა და მთლიანად გარემო. საიას იურისტები შეხვდნენ რეგიონული მედიის 30-ზე მეტ წარმომადგენელს საქართველოს 4 ქალაქში: გორი, გურჯაანი, ქუთაისი, ბათუმი. მონაწილეების გენდერული გადანაწილება იყო შემდეგნაირი: 18 ქალი და 13 კაცი.

კვლევების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები მედიაგარემოს გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

კვლევები, შემდგომი ადვოკატირების მიზნით, საიამ მიაწოდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებსა და ექსპერტებს, რის შედეგადაც შესაბამისი შენიშვნები აისახა სხვადასხვა ანგარიშსა თუ საჯარო კომენტარში.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობის მიზნით, საია აკეთებდა საჯარო განცხადებებს, სამართლებრივ კონსულტაციებს უწევდა ჟურნალისტებს და წარმოადგენდა მათ ინტერესებს სასამართლოში. ორგანიზაცია საკუთარ პოზიციას განსაკუთრებით აქტიურად აფიქსირებდა „რუსთავი 2“-ის წილების საკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის გარშემო, რომელიც ბადებდა ეჭვებს სამართალწარმოების პროცესში არასათანადო ჩარევების შესახებ.

საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით

დაკვირვება 2015 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის შუალედურ და 2016 წლის 28 იანვრის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებზე

2015 წლის 31 ოქტომბერს გამართულ პარლამენტის შუალედურ არჩევნებს საია საგარეჯოსა და მარტვილის მაჟორიტარულ ოლქებში დააკვირდა. ასევე, დაკვირვება განხორციელდა გარდაბანში მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების დროს.

ორივე არჩევნებზე საიას 30-მდე დამკვირვებელმა კენჭისყრის დღის დაკვირვება განახორციელა როგორც სტატიკურად, ასევე, მობილური ჯგუფების მეშვეობით.

ორივე შემთხვევაში ორგანიზაციამ გაავრცელა შემაჯამებელი განცხადებები, რომლებშიც საუბარი იყო არჩევნების დაკვირვების შედეგებზე და ხაზი გაესვა პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც 2012 წელს, უკიდურესად დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდის ფონზე, საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ასევე, ეს იყო პირველი საპარლამენტო არჩევნები საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. შესაბამისად, დიდი იყო ამ არჩევნების მიმართ ინტერესი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე პარტნიორ ქვეყნებში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 8 ოქტომბრის არჩევნებს ტრადიციულად სამ ეტაპად აკვირდებოდა: წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება, კენჭისყრის დღე და საარჩევნო დავების მიმდინარეობა საარჩევნო ადმინისტრაციებსა და სასამართლოში.

ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდს სათავო და რეგიონული ოფისების მეშვეობით თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდებოდა.

როგორც წესი, საიას მონიტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტების გამოვლენა/აღკვეთა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები, საარჩევნო სუბიექტების უფლებები და ვალდებულებები, მედიაგარემო და ინკლუზიური საარჩევნო გარემო.

საიას მონიტორების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში საერთო ჯამში დაფიქსირდა 82 დარღვევა, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან.



აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, არაერთი განცხადება/საჩივარი წარედგინა შესაბამის უწყებებს. სტატისტიკა ასე გამოიყურება:



საია დააკვირდა როგორც 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს, ასევე, განმეორებითი არჩევნებისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღესაც.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს საიამ დაკვირვება თბილისისა და 9 რეგიონის 61 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 500 დამკვირვებლის მეშვეობით განახორციელა. 8 ოქტომბერს, კენჭისყრის დღეს, დაკვირვება განხორციელდა აგრეთვე ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში, როგორც საიას, ასევე, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებლების მიერ, საიას პროგრამის ფარგლებში – ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ-საარჩევნო უფლებათა რეალიზება.

22 ოქტომბერს, განმეორებითი არჩევნების კენჭისყრის დღეს, საია 4 საარჩევნო უბანზე, ხოლო მეორე ტურის კენჭისყრის დღეს – თბილისსა და 47 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 400-მდე დამკვირვებლით, სტაციონარული და მობილური სადამკვირვებლო ჯგუფების მეშვეობით აკვირდებოდა.



2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პერიოდში, საიას დამკვირვებლებმა 443 საჩივარი წარადგინეს ზემდგომ საარჩევნო კომისიებში, 39 სასარჩელო განცხადებით მიმართეს პირველი ინსტანციის, ხოლო 27 ადმინისტრაციული საჩივრით – სააპელაციო სასამართლოებს.





დაკვირვება საოლქო საარჩევნო კომისიების შესარჩევ კონკურსებზე

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აკვირდებოდა საოლქო და საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პროცესს. მონიტორინგმა კიდევ ერთხელ გამოავლინა როგორც კომისიების დაკომპლექტების პროცედურის, ისე პრაქტიკის პრობლემურობა. გამოითქვა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიების „პროფესიული" წევრების კვოტით შეირჩნენ პოლიტიკურად მიკერძოებული პირები, ხოლო უბნების დაკომპლექტების დროს, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა სიების წინასწარ შედგენას.

საიამ ჯერ კიდე 2015 წლის დეკემბერში მოუწოდა ცესკოს, გადაეხედა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესისათვის და შემოეღო გასაუბრება, როგორც კონკურსის სავალდებულო ეტაპი. თუმცა, სამწუხაროდ, ცესკომ არ გაითვალისწინა საიას რეკომენდაცია და კონკურსი მანამდე არსებული რეგულაციით ჩაატარა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გააგრძელებს მუშაობას საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის ცვლილების მიმართულებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიამ არაერთი ინოვაციური პროექტი განახორციელა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურების კუთხით. ევროპის ფონდისა და NDI-ს მხარდაჭერით განხორციელდა ორი პროექტი:

1. „მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში";
2. „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში".

ორივე პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევები სხვადასხვა მეთოდის (სამაგიდო კვლევა, ფოკუს-ჯგუფები, გამოკითხვები) გამოყენებით და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და გაიმართა დისკუსიები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების მონიტორინგი

უკვე მეორე წელია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, ახორციელებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით, დღის წესრიგითა და სამოქმედო გეგმით მართლმსაჯულების სექტორის მიმართულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

პროექტის ფარგლებში მომზადდა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ანგარიში და პოლიტიკის 3 დოკუმენტი, რომლებიც ეხება პროკურატურისა და სასამართლო რეფორმის აქტუალურ საკითხებს. წლის ბოლოსთვის ასევე მომზადდება 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში მართლმსაჯულების მიმართულებით.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ თაოსნობით, მონიტორინგის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიური ადვოკატირება გაუწია შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. მაღალია ინტერესი პროექტის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტების მიმართ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მათი წარდგენა უკვე მოხდა 2016 წლის იანვარში – ბრიუსელში და სექტემბერში – ბერლინში. მიმდინარე წლის ბოლოსთვის ასევე დაგეგმილია პრეზენტაციები ევროპის სხვა დედაქალაქებშიც.

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო, საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს საიას იურიდიული სწავლების ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი სთავაზობს.

მარიკო კობახიძე – საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის 2011-2012 წლების კურსდამთავრებული, ფონდის საკვირაო სკოლის პედაგოგი:

„იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდში ოთხი წლის წინ მოვედი. მაშინ სრულიად სხვა მარიკო ვიყავი, მორიდებული და დაკომპლექსებული. იმ შვიდი თვის განმავლობაში, რომლებიც ფონდში გავატარე, საშუალება მქონდა, დავსწრებოდი ცნობილი და პრაქტიკოსი იურისტების ლექციებს. ფონდმა გამაძლიერა და ჩამინერგა რწმენა, რომ სიმართლისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. დღეს მე უკვე შემიძლია, დავიცვა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ შშმ პირების უფლებებიც და ვიბრძოლო მათი უკეთესი მომავლისთვის. ამჟამად ვკითხულობ ლექციებს საკვირაო სკოლაში შშმ პირთა უფლებების შესახებ. ფონდმა საკუთარი თავის რწმენა და ჯანსაღი ამბიციები გამიჩინა.“

ფონდის სასწავლო კურსები

6 თვიანი სასწავლო კურსების ფარგლებში, 2014-2015 სასწავლო წელი ჩარიცხული 40 სტუდენტიდან წარმატებით დაასრულა 22-მა. 6 თვის განმავლობაში სტუდენტები ეუფლებოდნენ ცოდნას საჯარო და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

ფონდმა 2016 წლის 12 ივლისს წარმატებული სასწავლო წლის დასრულება აღნიშნა პროფესორ-მასწავლებლებთან და სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

სასწავლო კურსის ფარგლებში, ფონდმა, ტრადიციისამებრ, სტუდენტებისათვის ორგანიზება გაუწია არა მხოლოდ საინტერესო თეორიულ სასწავლო პროგრამას, არამედ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ფონდის და საიას ინიციატივით, წარმატებულ კურსდამთავრებულებს რეკომენდაციები გაეწევათ მომავალში პროფესიული საქმიანობის გასაგრძელებლად.

დებატების ხელოვნება

ფონდი მიმდინარე პერიოდში აგრძელებდა სტუდენტების დახელოვნებას კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში ფონდის ორგანიზებით დებატების კურსები მიმდინარეობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. კურსების ბოლოს კი, ტრადიციისამებრ, გაიმართა საიას დებატების ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა ქუთაისის გუნდმა. დებატები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ კონსტრუქციული კამათის ხელოვნება, დაეუფლონ დებატის კულტურას, სწრაფ აზროვნებასა და ანალიზის უნარს, აგრეთვე, იურიდიულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ტექნიკას.

საუკეთესო მოდებატეებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები GIZ-ს, ABA-სა და MIX TIME-ის მიერ.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“

2015 წლის დეკემბერში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა გააგრძელა 8 წლიანი ტრადიცია და ორგანიზება გაუწია ოლიმპიადას „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, ოლიმპიადა გაიმართა ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველი 64 გუნდიდან შეირჩა 8 გუნდი. 2015 წლის 11-13 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა როგორც შესარჩევი რაუნდები, ასევე, ნახევარფინალი და ფინალი. გამარჯვებული გუნდი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან – “IRZ”-ის მიერ დაჯილდოვდა ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, ასევე, მათ და სხვა მონაწილეებს გადაეცათ სხვა საჩუქრები.

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი საანგარიშო პერიოდში კვლავ განაგრძობდა საკვირაო სკოლების ორგანიზებას თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში. საკვირაო სკოლები ოქტომბერში გაიხსნა და მას, წინა პერიოდის მსგავსად, უძღვებოდნენ ფონდის წარმატებული კურსდამთავრებულები. საანგარიშო პერიოდში, საკვირაო სკოლაში, ხუთივე ქალაქის მასშტაბით, 300-მდე სკოლის მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებსაც დასრულების შემდგომ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონები“ და კაზუსების წიგნი – „სამართლის ქალაქი“.

ამავე პერიოდში განხორციელდა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის და ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებში ტყიბულში ფუნქციონირება დაიწყო სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლამ. სკოლას ხელმძღვანელობა გაუწია ფონდის გასული წლების ერთ-ერთი წარმატებული პროექტის – „დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია“ – წარმატებულმა სტიპენდიატმა ხატია ბეროძემ.

ტრენინგები

საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებენ სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიციას საიას თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისთვის.

2015 წლის 17-19 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ბენეფიციარებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და სტრესის მართვა”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საიას 35-მდე თანამშრომელმა როგორც თბილისის, ისე რეგიონული ოფისების მასშტაბით. ტრენერები მოწვეულები იყვნენ ორგანიზაციიდან „გლობალური ინიციატივა საქართველოში“.

2015 წლის 18-20 და 22-24 დეკემბერს, OSGF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში – „ადამიანის უფლებები პაციენტთა მზრუნველობის სფეროში“ – ჩატარდა 2 იდენტური ტრენინგი სხვადასხვა პროფილის ექიმებისთვის, თემაზე „პაციენტის უფლებები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე ექიმმა.

2016 წლის 24-26 მაისს, 28-30 მაისს, 1-3 ივლისს და 8-10 ივლისს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით და OSGF-ის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – „პაციენტთა უფლებების დაცვა კვლევისა და სამედიცინო მომსახურეობის გამწევთა სწავლების გზით“ – ჩატარდა 4 იდენტური ტრენინგი ექიმებისა და მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტურის/მაგისტრატურის სტუდენტთა მონაწილეობით. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 50-მა ექიმმა მთელი საქართველოს მასშტაბით და 24-მა რეზიდენტ/მაგისტრატმა სტუდენტმა თბილისის მასშტაბით არსებული უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებიდან.

2016 წლის 30-31 მარტს და 24-26 ივლისს, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, OSGF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის – გენდერული ძალადობა და სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა კრიმინალიზებული ქალებისათვის საქართველოში – ფარგლებში, ჩატარდა 2 ტრენინგი: პირველი – კომერციული სექს-მუშაკებისა და წამალდამოკიდებული ქალებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მდე ქალმა, ხოლო მეორე – საიას, პარტნიორი ორგანიზაციების ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის.

2016 წლის 28-30 ივლისს, 13-14 და 20-21 სექტემბერს, დემოკრატიის განვითარების მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ, ჩატარდა 3 იდენტური ტრენინგი ჟურნალისტებისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით, თემაზე – „ძლიერი მედია სამართლიანი არჩევნებისთვის", რომელშიც, ჯამში, მონაწილეობა მიიღო 70-მდე ჟურნალისტმა.



იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

2010 წელს IRZ-ს და GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიულ განათლებაში სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწასა და გერმანულ სტანდარტთან მიახლოებას.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა სახელმძღვანელოს სრულყოფაზე ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 13-15 აპრილს, რა დროსაც ავტორებმა საბოლოოდ შეათანხმეს პოზიციები და დასრულებული სახე მისცეს სახელმძღვანელოში განხილულ კაზუსებს. ამ ეტაპზე სახელმძღვანელო გადაგზავნილია გერმანელ ექსპერტებთან და უახლოეს მომავალში გამოიცემა.

საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა განაგრძობს მუშაობას სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკის განახლება იურიდიული ლიტერატურით. საანგარიშო პერიოდში საიას ბიბლიოთეკის ფონდი 100-მდე ერთეული შეძენილი და ნაჩუქარი წიგნებით შეივსო.

ბიბლიოთეკა ყოველდღიურად საშუალოდ 10-15 მკითხველს ემსახურება, რომელთა შორის არიან, როგორც იურიდიული ფაკულტეტის და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სამართლის კურსის სტუდენტები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები.

საანგარიშო პერიოდში, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის – „რა უნდა ვიცოდეთ არჩევნების შესახებ“. სახელმძღვანელო მომზადდა და დაიბეჭდა დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ეგიდით, „ძლიერი მედია სამართლიანი არჩევნებისთვის“ პროექტის ფარგლებში. გამოცემის მიზანია არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით ჟურნალისტებისა და, ზოგადად, საარჩევნო თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირის ცნობიერების ამაღლება.

GYLA

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ თბილისისა და რეგიონული ოფისების იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის.

6-დან 8 თვემდე სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით, შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, ადვოკატებთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სასამართლოში და ა.შ. სტაჟიორთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

გასული საანგარიშო წლის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, თბილისისა და რეგიონული ოფისების მასშტაბით, სულ 70-მდე დამწყებ იურისტს მიეცა სტაჟირების გავლის საშუალება.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ნაკადის სტაჟიორებიდან საიას თბილისისა და რეგიონულ ოფისებში 6 სტაჟიორი დასაქმდა.

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2015 წლის 1 ნოემბერი – 2016 წლის 1 ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიღებულია 2,180,416.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

EWMI	93,422.00
Counselling center citizenship/civil and HR, Czech Republic	13,694.00
EU	850,145.00
OSGF	105,879.00
Minister of Foreign Affairs Netherlands	112,622.00
UNDP	49,873.00
Ministry for Foreign Affairs Sweden	26,574.00
NED	107,042.00
USAID	741,097.00
British Embassy	70,185.00

საწევრო შენატანი	1,744.00

სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირის შემოწირულობა	6,370.00

სხვადასხვა შემოსავალი	1,769.00

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 123 თანამშრომელი, მათ შორის 58 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,503,577.00 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 232 პიროვნებაზე – საერთო თანხით 173,426.00 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ მომსახურების ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი – 363,041.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 80,995.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 21,750.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 22,154.00 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 4,568.00 ლარის ღირებულების.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 75,468.00 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის და საწვავის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 189,830.00 ლარი.

საიას ოფისების ქირამ შეადგინა 104,370.00 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 36,408.00 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 7,194.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 2,450,563.00 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

BFDW	271,000.00
UNDP	42,097.00
Counselling center citizenship/civil and HR, Czech Republic	1,215.00
COE	12,606.00
British Embassy	79,081.00
EHRAC	46,461.00
EU	19,295.00
EURASIA	27,585.00
EWMI	750,333.00
Femicide	140,669.00
NDI	45,848.00
NED	129,351.00
Minister of Foreign Affairs Netherlands	75,695.00
USAID	130,647.00
OSGF	258,732.00
Sida	125,710.00
SRT	141,387.00
TAPE	140,114.00

შემოწირულობა	6,578.00
საწევრო	6,159.00

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ანა ნაცვლიშვილი – თავმჯდომარე
ბესარიონ აბაშიძე
ბესარიონ ბოხაშვილი
ეკა გოგიჩაიშვილი
თამარ გურჩიანი
მიხეილ დაუშვილი
ნათია კაპანაძე
ნათია კაციტაძე
კახა კოჟორიძე
ქეთევან კრაწაშვილი
ლევან მოსახლიშვილი
თამარ რევაზიშვილი
სულხან სალაძე
ვენერა სუქნიძე
ეკატერინე ფოფხაძე
ნონა ქურდოვანიძე
მიხეილ ღოღაძე
თინათინ შელია
ლაშა ჩალაძე
სოფო ჯაფარიძე
მიხეილ ჯახუა

აღმასრულებელი დირექტორი

თამარ გვარამაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – გიორგი ხიმშიაშვილი
ქუთაისის ფილიალი – გიორგი სანტურიანი
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი – ჯანო ჭკადუა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი
სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ზუგდიდის ოფისი
ლაღიძის ქ. №3 (ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი, თამარ გვარამაძე, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის